PDF Eraser Free

დანართი №3

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამარ რემიშვილი

წევრები:

თამილა გრძელიშვილი

(თბილისი, 2020)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შპს

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020წლის 10აგვისტოს N678294 ბრძანებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ საექთნო განათლება“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 99/ნ ბრძანების დამტკიცებული „ საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შეასაბამისობის შემოწმება განახორციელოს 2020 წლის 20 და 21 აგვისტოს ქ.თბილისში შპს საზოგადოებრივ კოლეჯში ფანასკერტელი(შემდგომში კოლეჯი), მისამართი ზაზიაშვილის ქ.N 1.

ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და შესწავლილი მასალის საფუძველზე ჯგუფმა შეიმუშავა ვიზიტისთვის განკუთვნილი დღის წესრიგი ***(იხ. დანართი1).***

ექსპერტთა ჯგუფის წევრები დღის წესრიგის მიხედვით გაესაუბრნენ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელს და განმახორციელებელ პერსონალს, პროფესიულ სტუდენტებს. შეამოწმეს პასუხიმგებელი პირების მიერ შედგენილი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგია და არსებული პრაქტიკა, შეისწავლეს პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის დოკუმენტაცია, გადაამოწმეს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და პრაქტიკაში განხორციელებისთვის არსებული რესურსი და დაადგინეს თანხვედრა წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა კოლეჯის ინფრასტრუქტურა და გაეცნო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ ბაზას, ჯგუფი გაეცნო პრაქტიკასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას და გაესაუბრა პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებს, ასევე გაეცნო ბიბლიოთეკის ფონდს და დაათვალიერა საბიბლიოთეკო სივრცე.

ვიზიტის ბოლოს მოხდა ჯგუფის წევრებს შორის გაწეული მუშაობის შედეგების შეჯამება და დაწესებულებისთვის წარდგენა.

კოლეჯს 6 წლით აქვს მინიჭებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი- ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება N125, 2019 წლის 14 ივნისი,ცვლილება 2020 წლის 30 ივნისი გადაწყვეტილება N538980. საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ განხორციელების უფლების მოპოვების თარიღი 2019 წლის 2 ოქტომბერი, გადაწყვეტილება N200.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

მესამე წელია, საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი თანამშრომლობს გერმანულ კომპანიასთან „Medijobline“ (მედიჯობლაინი), რომელიც არის გერმანიაში დასაქმების ხელშეწყობის ორგანიზაცია. აღნიშნული ორგანიზაცია უზრუნველყოფს საქართველოში დიპლომირებული ექთნებისათვის გერმანიაში კვალიფიკაციის აღიარებას, დასაქმებისთვის შესაფერისი კლინიკების მოძიება/შეთავაზებას და საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას.

გერმანიაში, დიპლომის (კვალიფიკაციის) აღიარებისას გამოვლენილი საგნებისა და შესაბამისი საათების ნაკლებობის შემთხვევაში ჩვენი კოლეჯი უზრუნველყოფს მათ ანაზღაურებას თეორიული და პრაქტიკული სასწავლო კურსის გატარებით. ამის დამადასტურებლად კოლეჯი გასცემს სერტიფიკატს, რომელსაც აღიარებს გერმანული მხარე. სტუდენტები პარალელურ რეჟიმში ინტენსიურად ემზადებიან გერმანულ ენაში. აღნიშნული სწავლება ფინანსდება გერმანული მხარის მიერ. სწავლების დასრულების შემდეგ სტუდენტები გადიან გასაუბრებას დამსაქმებელი კლინიკების წარმომადგენლებთან, დებენ კონტრაქტებს და სამუშაო ვიზით მიემგზავრებიან გერმანიაში, კონტრაქტში მითითებული ვადით.

აღნიშნული პროექტის გაღრმავება იგეგმება სწორედ ახალი საგანმანათლებლო პროგრამით - საექთნო განათლება. ვინაიდან აღნიშნული პროგრამა არის 180 კრედიტიანი და თითქმის თავსებადია ევროპულ სტანდარტებთან, მეტად ხელსაყრელი იქნება გერმანული მხარისთვის, რაც კიდევ უფრო გაზრდის დასაქმების მაჩვენებელს.

ვინაიდან, საქართველოში არამარტო ექთნების რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი დეფიციტია - აღნიშნული პროგრამა ერთგვარად ხელს უწყობს გერმანიაში გამოცდილების მიღებას და კვალიფიკაციის ამაღლებას, ნორმალური სამუშაო პირობების არსებობას და შემდგომში საქართველოში დაბრუნებას სამუშაო გამოცდილებით.

დღევანდელი მდგომარეობით ამ პროექტის ფარგლებში მომზადებულია 65 და დასაქმებულია 50 კურსდამთავრებული.

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 04/02/2020 N 08 გადაწყვეტილებით შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ექსპერტების მიერ დაწესებულებას მიეცა შემდეგი რეკომენდაციები:

2.8. ქვესტანდარტი

კოლეჯის ვებგვერდზე პერიოდულად აისახება ინფორმაცია თელავის განყოფილებაში ჩატარებულ აქტივობებისა და ღონისძიებებზე. სასურველია, ვებგვერდზე ცალკე ფანჯარა დაეთმოს თელავის განყოფილებას, სადაც კომპაქტურად განთავსდება თელავის განყოფილების ბაზაზე განხორციელებადი პროგრამები, ინფორმაცია განმხორციელებელი პერსონალის შესახებ და სხვა. ***რეკომენდაციის სტატუსი-მიმდინარე, 2020 წლის შემოდგომისთვის დაწესებულებას ექნება ახალი ვებგვერდი, სადაც გათვალისწინებული იქნება ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია;***

2.9. ქვესტანდარტი

კოლეჯის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმებში არაა გამოკვეთილი თელავის განყოფილებაში განსახორციელებელი სამუშაოები/აქტივობები. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ გეგმებში გაწერილ იქნეს თელავის განყოფილების ბაზაზე დაგეგმილი და განსახორციელებელი სამუშაოები/აქტივობები. ***რეკომენდაციის სტატუსი-შესრულებული;***

3.2 ქვესტანდარტი

კოლეჯმა პერსონალის/პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების მიზნით დაგეგმოს და/ან განახორციელოს სხვადასხვა აქტივობები, როგორიცაა, მაგალითად ტრენინგები მოდულურ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

*პროფესიულ პროგრამებზე სწავლებისა და შეფასების მეთოდების, შეფასების ინსტრუმენტების, კალენდარული გეგმების შემუშავების საკითხებზე. **რეკომენდაციის სტატუსი-მიმდინარე, დაწესებულებას ერთწლიან სამოქმედო გეგმაში დაგეგმილი აქვს პერსონალის განვითარება. 2020 წლის შემოდგომისთვის დაწესებულება უზრუნველყოფს შესაბამისი ტრენინგების ჩატარებას;***

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

VII. რეკომენდაციების შეჯამება

განამავითარებელი რეკომენდაცია

1. *დაწესებულების მიერ შემუშავებული და უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებულია შემდეგი მარეგულირებელი დოკუმენტები:*
   - ***საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება ;***
   - ***შეფასების სისტემა და მისი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დოკუმენტში „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება“ მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა კოლეჯის სტრუქტურა, ადმინისტრაციის და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები, საგანმანთლებლო პროგრამების შემუშავების/დამატების მეთოდოლოგია, მონიტორინგის და ვერიფიკაციის მექანიზმები, პროფესიული სტუდენტის უფლებები / სერვისები და სასწავლო პროცესის ეფექტურად მართვისთვის საჭირო მნიშვნელოვან სხვა საკითხებს. თუმცა მეორე დოკუმენტში „შეფასების სისტემა და მისი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ ხდება ისეთი საკითხების დუბლირება(მოცემულია ამონარიდი საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებიდან), როგორიცაა პროფესიული სტუდენტის შეფასება, შეფასების სისტემის ვერიფიკაცია, შიდა მონიტორინგის ჯგუფი და სხვა.

ვიზიტის დროს ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რომ სხვადასხვა დოკუმენტში ერთიდაიგივე საკითხების დუბლირება არ ხდებოდეს, ექსპერტთა შეფასებით სხვადასხვა დოკუმეტებში გაწერილი ერთანირი მექანიზმები არაეფექტურია პროცესების ადმინისტრირებისთვის, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლებიც დაეთანხმნენ ექსპერტებს.

2. *რამოდენიმე მოდულის განხორციელებისთვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება მინიმუმ ორ პროფესიული განათლების მასწავლებელთან. რეკომენდირებულია პროგრამის განმახორციელებელ პესონალთან გაფორმებულ მომსახრების ხელშეკრულოებებში გაკეთდეს დამატებითი ჩანაწერი, რომ პროფესიულ მასწავლებელს ანაზღაურება მიეცემა მოდულით განსაზღვრული საათების ჩატარების შემთხვევაში.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	**დამტკიცების აქტის რეკვიზიტები:** კოლეჯის დირექტორის ბრძანება N18, 15/07/2019; **ცვლილების აქტის რეკვიზიტები:** კოლეჯის დირექტორის ბრძანებები: N38,18/10/2019; N2 19/02/2020; N38,26/06/2020; N40, 30/06/2020;
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ.თბილისი, გ.ზაზიაშვილის N1



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით, მათ შორის ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში), ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად	პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართების და განხორციელების ფორმის მიხედვით: ქ.თბილისი, გ.ზაზიაშვილის N1 – 36, მოდულური; ქ. თელავი, ლესელიძის ქ. N1 – 54, მოდულური; ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება N125, 2019 წლის 14 ივნისი, ცვლილება 2020 წლის 30 ივნისი გადაწყვეტილება N538980.
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა დამატებით მოთხოვნილი რაოდენობა	54
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობა -90; მისამართი - ქ.თბილისი, გ.ზაზიაშვილის N1, 0102 განხორციელების ფორმა - მოდულური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება პროგრამისთვის საექთნო განათლება

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება პროგრამისთვის საექთნო განათლება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. კოლეჯის გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის **„საექთნო განათლება“** განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება კლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას; საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის მისიაა „დავძლიოთ გამოწვევები განვითარების გზაზე და გავიმყაროთ წამყვანი პოზიცია, როგორც მდგრადმა, ინოვაციურმა და განვითარებადმა მრავალპროფილურმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ. ასევე, უზრუნველვყოთ კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური კადრის მომზადება შრომის ბაზრის მოთხოვნების უზრუნველსაყოფად. ჩვენ, როგორც ტრადიციული დაწესებულება, ვზრუნავთ განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფაზე, პიროვნული და პროფესიული შესაძლებლობების განვითარებაზე, მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების მიღების ხელშეწყობასა და დასაქმებაზე. კოლეჯის მისია ზუსტად პასუხობს მის განაცხადს – „მოდი, ისწავლე, დასაქმდი“. კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა ითვალისწინებს საგანამანთლებლო პროგრამების განვითარებას.კოლეჯის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს საგანამანთლებლო პროგრამების განვითარებას და საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებას.

   კოლეჯმა ექსპერტებს წარმოუდგინა პროგრამის განხორციელების დასაბუთება, საქართველოს ჯანდაცვის სისტემა სერიოზულ დეფიციტს განიცდის კვალიფიცირებული ექთნების თვალსაზრისით. საექთნო განათლების მიღება საქართველოში შესაძლებელია უმაღლესი აკადემიური და პროფესიული განათლების გზით. საექთნო საბაკალავრო პროგრამები ხორციელდება 2011 წლიდან, მაგრამ აღნიშნულ პროგრამაზე უმეტესად სტუდენტები ირიცხებიან შემდგომში მობილობით სარგებლობის მიზნით, რათა სწავლა გააგრძელონ სხვა სამედიცინო პროგრამაზე . ბაზარზე დიდი დეფიციტის მიუხედავად, ამ პროგრამის დაუფლების მსურველთა რაოდენობა არ იზრდება უმაღლეს სასწავლებლებში. შესაბამისად ამ დეფიციტის შევსება ძირითადად ხდება პროფესიული განათლების მქონე ექთნებით , რომელთა რაოდენობა მაინც არ არის საკმარისი მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად .

   ვიზიტის დროს კოლეჯმა ასევე წარმოადგინა 2018 და 2019 წლის კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა, დოკუმენტის მიხედვით „პრაქტიკოსი ექთნის“ 2018 წლის 28 კურსდამთავრებულიდან 24, ხოლო 2019 წლის 30 კურსდამთავრებულიდან 20 დასაქმებულია.

   აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის დროს კოლეჯის მიერ გამოცხადებულ 25 ადგილზე დარეგისტრირებული იყო 80 აპლიკანტი.

2. ექსპერტთა შეფასებით „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას; პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების პროცედურები გაწერილია კოლეჯის საგანამანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში (თავი მეხუთე,მუხლი 32-ე), რომელიც განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. კოლეჯი საგანმანათლებლო პროგრამისთვის „საქართო განათლება“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით; მეთოდოლოგიის მიხედვით დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

ა) A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;

ბ) B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება: C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა. კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია შემთხვევა, როდესაც ერთიდაიგივე გარემო რამდენიმე პროგრამისათვის გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში გარემოს დატვირთვის რესურსი უნდა გადანაწილდეს ყველა პროგრამაზე. კვოტის განსაზღვრის მეთოდოლოგიას თან ერთვის A,B,C გარემოს დატვირთვის ცხრილები პროგრამების/მოდულების მიხედვით. ცხრილებიდან ჩანს, რომ A,B,C გარემოს რეალური დატვირთვა არ აღემატება მის გამტარუნარიანობას.

საქართო განათლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაშია 28 პროფესიული მასწავლებელი დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

ა) A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა

ბ) B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა.

გ) C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა

საქართო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე სააუდიტორო სწავლების 1.5 წლის შემდგომ პროფესიული სტუდენტები სწავლას აგრძელებენ პრაქტიკის ბაზებზე. **შესაბამისად 3 წლიანი პროგრამის განმავლობაში ისინი მხოლოდ სწავლების პერიოდის ნახევარ დროს ატარებენ კოლეჯში.** საჭიროების შემთხვევაში სწავლება განხორციელდება ორ ცვლაში.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 2 ოქტომბრის N200 გადაწყვეტილებით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენდა - 90. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 4 თებერვლის N 8 გადაწყვეტილებით 54 პროფესიული სტუდენტის ადგილი გადანაწილდა თელავის (მის: ლესელიძის N1) ფართზე და შესაბამისად ქ. თბილისის (მის: ზაზიაშვილის ქ.N1) ფართზე დარჩა 36 პროფესიული სტუდენტის ადგილი. ვინაიდან აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს გააჩნია საკმარისი მატერიალურ ტექნიკური ბაზა, შესაბამისი ადამიანური რესურსი და საჭირო ხელშეკრულებები პრაქტიკის განსახორციელებელ ობიექტებთან, საქართო განათლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ქ. თბილისის (მის: ზაზიაშვილის ქ.N1) ექსპერტთა შეფასებით პროფესიული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტუდენტთა რაოდენობა შესაძლებელია გაიზარდოს 54-ით და გახდეს 90. ვიზიტის დროს ამ პროგრამაზე ირიცხება 11 აქტიური პროფესიული სტუდენტი, ხოლო 1 პროფესიულ სტუდენტს სტატუსი აქვს შეჩერებული.

4. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს საგანმანათლებლო პროგრამით „საექთნო განათლება“ გათვალისწინებული რესურსი კოლეჯში (A და B გარემო), მათ მიერ მოდულების მიხედვით შერჩევით შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული ლიტერატურა, ყველა მათგანი ხელმისაწვდომია; პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით(90 პროფესიული სტუდენტი). საექთნო განათლების განსახორციელებლად დაწესებულებაში არის ერთი A სასწავლო გარემო, სადაც არის 90 სამუშაო ადგილი პროფესიული სტუდენტისთვის 51.62 კვ.მ-ზე; A2, B1 - სასწავლო გარემო საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის (აუდიტორია N4; N10) , A გარემოში არის 48 სკამი და შესაბამისი რაოდენობის მაგიდა.

   ორი B სასწავლო გარემო (კომპიუტერული კლასი), თითოეულ გარემოში არის 10-10 სამუშაო ადგილი პროფესიული სტუდენტისთვის 23-23 კვ.მ-ზე. პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას აქვს სიმულაციური გარემო, რომელიც სრულად არის აღჭურვილი შესაბამისი მოდულებით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსით.

   ექსპერტთა შეფასებით საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები A, B გარემოში განთავსებული მაგიდა და სკამი სტუდენტებისთვის, მაგიდა და სკამი მასწავლებლისთვის, დაფა, მარკერები, ფლიპჩარტის ქაღალდი, პროექტორები და პერსონალური კომპიუტერებიი, ასევე საგანმანათლებლო რესურსები: სახელმძღვანელოები, როგორც მატერიალური ისე ელექტრონული სახით, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
5. საგანმანათლებლო პროგრამას „საექთნო განათლებას“ არჩევითი მოდულები არ აქვს.
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის- დირექტორის მიერ, რაც დასტურდება კოლეჯის საგანამანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით, მუხლი 6;
7. ექსპერტთა შეფასებით პროგრამის სახელწოდება „საექთნო განთლება“ შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. ექსპერტთა შეფასებით „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, შემუშავების საფუძველია საექთნო განათლების ჩარჩო დოკუმენტი -სარეგისტრაციო ნომერი - 09109-პ; დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, დაწესებულების მიერ წარმოგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები და სასწავლო გეგმა,ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს, თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტს.

პროგრამის შემუშავების და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურები შესაბამისობიაშია კოლეჯის საგანამანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებასთან;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანამანთლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ და მოდულები;
- კოლეჯის მისია;
- კოლეჯის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმა;
- პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- 2018-19 წლის კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა „პრაქტიკოსი ექთნის“ პროფესიულ საგანამანთლებლო პროგრამაზე;
- კოლეჯის საგანამანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება-დამტკიცებული შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის დირექტორის 2020 წლის 8 ივნისის N19 ბრძანებით;
- ფაქტობრივი გარემოება;
- საგანმნანათლებლო პროგრამის კლინიკური სწავლების განხორციელების მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებები;
- დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრება;
- დაწესებულების ვებგვერდი http://fanaskerteli.edu.ge

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ გადამოწმდა დაწესებულებაში არსებული მატერიალური რესურსი და ამ რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები საგანმნანათლებლო პროგრამის კლინიკური სწავლების განხორციელების მიზნით შემდეგ ობიექტებთან: შპს ქართულ-ჰოლანდიურ ჰოსპიტალი, "სს „კ.ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ინსტიტუტის ეროვნული ცენტრი", შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის ცენტრი", ააიპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი"

ვიზიტის დროს მოხდა პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება ელექტრონული პორტალი „ზუმის „ მეშვეობით. ისინი წარმოადგენენ კონკრეტულ სამედიცინო დაწესებულებას და ჩართულნი არიან პროგრამის განხორციელებაში. ექსპერტთა შეფასებით ისინი კარგად იცნობენ პროგრამის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სპეციფიკას და გააზრებული აქვთ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, შესაბამისად უზრუნველყოფენ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტთა შეფასებით მოთხოვნილი კვოტის ფარგლებში (90 პროფესიული სტუდენტი) კოლეჯს აქვს შესაძლებლობა განახორციელოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ და უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა, ვინაიდან აღნიშნული პროგრამის გასახორციელებლად კოლეჯს გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი A,B,C სასწავლო გარემოში;

2. ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „საექთნო განათლება“ განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამისთვის განსაზღვრულია **28 (ოცდარვა)** პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათგან **5(ხუთი)** ჩართულია ფარმაციის პროგრამის განხორციელებაშიც, ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია **5 (ხუთი)** პროფესიული განათლების მასწავლებელი. ისინი, გარდა საკონტაქტო საათებისა, მონაწილეობენ სხვა სამუშაოების შესრულებაშიც (მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, ვერიფიკაცია, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი, პროფესიული განვითარება, მონაწილეობა სამუშაო და ადმინისტრაციულ შეხვედრებში და სხვ). ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ პროფესიულ მასწავლებლებს, რომელთაც დაადასტურეს მზაობა პროგრამის განხორციელებისა და მოცემული სასწავლო დატვირთვისთვის. პროფესიული განათლების მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამას დანართის სახით თან ახლავს დოკუმენტი პროგრამის განმახორციელებელ ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებით;

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „საექთნო განათლება“ განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დროს შეამოწმა განმახორციელებლების პირადი საქმეები და ასევე გადაამოწმა მათი ჩართულობა სხვა საგანმანათლებლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამების განხორციელებაში. აღნიშნული დოკუმენტაციის გადამოწმების და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრების შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს (28 პროფესიული განათლების მასწავლებელი) უდასტურდებათ შესაბამისი კვალიფიკაცია და აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. კოლეჯის საგანამანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამისთვის „საექთნო განათლება“ კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დანიშნულია შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. დაწესებულების მიერ განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის ფუქნცია-მოვალეობები. კოლეჯის საგანამანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების შესაბამისად პროგრამის ხელმძღვანელი ზრუნავს პროგრამის ადეკვატურ განხორციელებაზე, პრაქტიკისა და თეორიის კომპონენტის შეთავსებაზე, პროგრამის შინაარსის, ასევე მის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსების განვითარებაზე;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს სასწავლო პროცესში;

გ) განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემას, მონაწილეობს მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებაში;

დ) მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამების ადაპტირებას, დანერგვასა და მოდიფიცირებაში;

ე) ახდენს პროგრამის განმახორციელებელ პირთა/პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საჭიროების იდენტიფიცირებას და მონაწილეობს კვალიფი¬კაციის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებებში;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ვ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, მონაწილეობს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პოლიტიკისა და კოლეჯის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების, პერსონალისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასების პროცედურების შემუშავებაში;

ზ) მისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს პროფესიული მასწავლებლების მიერ სასწავლო პროცესში თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებას;

თ) მონაწილეობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციისათვის თვითშეფასების პროცესის განხორციელებაში და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებაში;

ი) მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგად რეკომენდაციებისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში, საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით;

კ) ზრუნავს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე.

ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელს და შეისწავლეს მისი პირადი საქმე, მის კომპეტენციაში ეჭვის შეტანის საფუძველი ექსპერტებს არ გასჩენიათ, იგი თავისუფლად გაართმევს თავს დაწესებულების მიერ პროგრამის ხელმძღვანელისთვის განსაზღვრულ ფუნქცია-მოვალეობებს. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს მისი ხელმძღვანელობით კოლეჯში ჩატარდა 4 მოდულის შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის პროცესის პილოტირება პროგრამისთვის ფარმაცია (სააფთიაქო).

5. ექსპერტებმა ვიზიტის დროს შერჩევით გადაამოწმეს მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი,მათი შეფასებით პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის როგორც მატერიალური ასევე ელექტრონული სახით. ბიბლიოთეკას ჰყავს კომპეტენტური ბიბლიოთეკარი, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. წიგნები გატარებულია საინვენტარო წიგნში დადგენილი წესის შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტების მიერ გადამოწმდა ელექტრონული კატალოგი(OPAC). მათი შეფასებით ტექნიკური პრობლემის გამო ვებგვერდზე შეუძლებელია დამატებითი მითითების გარეშე ელ.კატალოგის პოვნა, თუმცა საჭირო სახელმძღვანელოს მოძიება კატალოგში უპრობლემოდაა შესაძლებელი.

ბიბლიოთეკართან გასაუბრებით დადგინდა, რომ შესაძლებელია პროფესიული სტუდენტებისთვის საჭირო სასწავლო რესურსის ამობეჭდვა. ბიბლიოთეკაში მოწყობილია სამკითხველო სივრცე, სადაც განთავსებულია 2 კომპიუტერი და უზრუნველყოფილია ინტერნეტის მიწოდება. დაწესებულების წარმომადგენელმა განგვიმარტა, რომ სამკითხველო სივრცისთვის კოლეჯში გამოყოფილია დამატებითი სივრცეც .

6. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯში სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან. კოლეჯის ადმინისტრაცია სსსმ და შშმ პირების შეუფერხებელი საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფის მიზნით - ახდენს შესაბამისი მატერიალური, ადამიანური, ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო რესურსებით პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერას;

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი კოლეჯში სსსმ და შშმ პირების არსებობის შემთხვევაში ახდენს ამ პირების საჭიროების შესწავლასა და ანალიზს, რის შემდეგაც ადმინისტრაციას წარედგინება რეკომენდაციები გამოვლენილი პრობლემების დროულად და ეფექტურად გადაჭრის მიზნით; სსსმ და შშმ პირები იღებენ მისთვის საჭირო ინფორმაციას და ასევე ადმინისტრაციულ მხარდაჭერას; მოდულის განმახორციელებელი სსსმ და შშმ პირს იდენტიფიცირებული საჭიროების გათვალისწინებით უდგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელშიც გათვალისწინებულია პირის განსხვავებული მოთხოვნები და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები;

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სსსმ და შშმ პირებისთვის სწავლა-სწავლების, შეფასების, სასწავლო ინსტრუქციების, საგანმანათლებლო რესურსების ადაპტაციას, სათანადო ფორმებისა და პირობების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეთავაზებას, რათა პირი შეუფერხებლად იქნას ჩართული საგანმანათლებლო პროცესში; საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში შეიძლება მონაწილეობა მიიღონ: პროფესიულმა სტუდენტმა, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, მოდულის განმახორციელებელმა პირებმა და ასევე სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტმა;

7. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. ექსპერტების მიერ მოხდა პროგრამის ბიუჯეტის შესწავლა და დაწესებულების წარმომადგენელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება. პროგრამის ბიუჯეტის თანახმად პროგრამის რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია **15** პროფესიული სტუდენტით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანამანთლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ და მოდულები;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- საგანმნანათლებლო პროგრამის კლინიკური სწავლების განხორციელების მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პროგრამის განმახორციელებეილი პერსონალის პირადი საქმეები, მომსახურების ხელშეკრულებები;
- კოლეჯის საგანამანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება-დამტკიცებული შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის დირექტორის 2020 წლის 8 ივნისის N19 ბრძანებით;
- პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ ბრძანება;
- დაწესებულების თანამშრომლების და პროფესიული განათლების მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- დაწესებულების ვებ-გვერდი http://fanaskerteli.edu.ge/biblio/opac/index.php
- დაწესებულების წარმომადგენელთან/პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ფაქტობრივი გარემოება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა შეფასებით „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ გამოცდილებას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს და დირექტორის მიერ დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავების მიზანია ხარისხის უზრუნველყოფის, როგორც პროცესის დაგეგმვა დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობის მონიტორინგის და შეფასების მიზნით. ხარისხის შეფასების ციკლი შედგება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შემდეგი ეტაპებისაგან: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, გადახედვა/გაუმჯობესება.

ხარისხის გაუმჯობესების მიზნით იგეგმება ჩასატარებელი ღონისძიებების სიხშირე, კრიტერიუმები და განმახორციელებლები. განისაზღვრება კონკრეტული მიზნები, რესურსები, ამ მიზნების მისაღწევი სტრატეგიული ქმედებები, რომლის შედეგებსაც დაწესებულება იყენებს მართვის პროცესების ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამ დოკუმენტის შესაბამისად დაწესებულებას შემუშავებული აქვს და ვებგვერდზეა განთავსებული 2020-2025 წლის ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგია;

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში განხორციელების პროცესი ექვემდებარება რეგულარულ შემოწმებას და ანგარიშგებას. განხორციელება მოიცავს ძირითად და დამხმარე პროცესებს. მნიშვნელოვანია სტუდენტების მიღება/ჩართვა სასწავლო პროცესში, სწავლა/სწავლების პროცესის ხარისხის მონიტორინგი, პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტების/დამსაქმებლების უკუკავშირი, კურსდამთავრებულთა მხარდაჭერა (დასაქმება/ხელშეწყობა და შემდგომი კავშირი). პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება/ტრენინგები, მატერიალური რესურსების გაუმჯობესება/სრულყოფა, კომუნიკაცია, ფინანსური რესურსები.

სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და მიმდინარეობის მონიტორინგისა და შეფასების მთავარი მიზანია გამოავლინოს პროგრამების შემუშავება/დანერგვაში არსებული გამოწვევები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები. ამ პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის აუცილებელია კოლეჯის პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის/პროფესიული განათლების მასწავლებლის და ადმინისტრაციის სრული ჩართულობა. ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს სასწავლო პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს, რაც გამოიხატება ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის/პროფესიული განათლების მასწავლებლების, პრაქტიკის ბაზების/პოტენციური დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების რეგულარულ გამოკითხვას. ასევე, მონიტორინგსა და შეფასებას ექვემდებარება კოლეჯის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ შედგენილი ანგარიშები და განხორციელებული აქტივობები (განხორციელებული შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ხარისხის მართვის მენეჯერის მონიტორინგისა და შეფასების შედეგები და პროცესის გაუმჯობესების თაობაზე რეკომენდაციები გადაეცემა დაწესებულების დირექტორს რეაგირებისათვის.

პროცესების შესაბამისობის დასადგენად კოლეჯში გამოიყენება სპეციალური ფორმები. დაწესებულებაში შემუშავებულია ონლაინ კითხვარები: პერსონალის კითხვარი, პროფესიული სტუდენტის კითხვარი ფორმალურ გარემოში სწავლების შესაფასებლად/ პროფესიულ სტუდენტთა კითხვარი დისტანციური სწავლების შემთხვევაში, პროგრამის განმახორციელებელი პირის/პროფესიული განათლების მასწავლებლის კითვარი ფორმალურ გარემოში სწავლების შესაფასებლად/ პროგრამის განმახორციელებელი პირის/პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი დისტანციური სწავლების შემთხვევაში, პრაქტიკის ობიექტის/დამსაქმებლის კითხვარი. აღნიშნული ფორმები მტკიცდება დირექტორის მიერ.

დისტანციური არხებით სწავლებისას პროფესიულ სტუდენტენტთა გამოკითხვა ხორციელდება შემდეგი მიმართულებით:

- ონლაინ სასწავლო პროცესის ორგანიზებულობა
- ონლაინ სასწავლო რესურსებზე ხელმისაწვდომობა
- ონლაინ წარმართული მოდულის/სწავლის ცალკეული შედეგების შეფასება
- პროგრამის განმახორციელებელი პირის/პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება
- პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის ადექვატურობა

წელიწადში ერთხელ, კურსდამთავრებულთა გამოკითხვა ხდება ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შემუშავებული/წარდგენილი ონლაინ კითხვარებით. აღნიშნულის მიზანია კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის განსაზღვრა და მათი პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელი მოთხოვნების გადახედვა. შესაფასებლად გამოიყენება შემდეგი ინსტრუმენტები:

- კურსდამთავრებულთა ონლაინ კითხვარი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- კურსდამთავრებულთა დასაქმების აღრიცხვა/სტატისტიკის ანალიზი

გარკვეული პერიოდულობით იმართება შეხვედრები პოტენციურ დამსაქმებლებთან მათი საჭიროებების გამოვლენის მიზნით, რომელთა მიზანიცაა კონკრეტული პროგრამისათვის იმ უნარ-ჩვევებისა და ცოდნის იდენტიფიცირება რომელიც საჭიროა კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის დასასაქმებლად.

კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებების გათვალისწინებით განხორციელდება საქართველოს სხვა პროფესიულ სასწავლებლებში, ასევე საერთაშორისო პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, არსებული მსგავსი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გამოცდილების გაზიარება, რაც ხელს შეუწყობს კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კონკურენტუნარიანობის და ცალკეული კომპონენტების ხარისხის განსაზღვრას მისის შემდგომი განვითარებისთვის.

ხარისხის შეფასების ციკლის ეტაპეპიდან გამომდინარე ხარისხის მართვის მენეჯერი ახდენს საჭირო რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემების იდენტიფიცირებას, მათ შეგროვებას, ანალიზს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს/სამოქმედო გეგმას და ამზადებს ანგარიშს;

2. ექსპერტთა შეფასებით ხარისხისა მართვის მენეჯერი დირექტორთან კონსულტაციისა და პერსონალთან თანამშრომლობით ანალიზის პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და გამოიყენებს ყველა პროცესის გასაუმჯობესებლად. ხარისხისა მართვის მენეჯერი ახდენს წარმატების და წარუმატებლობის გამომწვევი ფაქტორების იდენტიფიცირებას, წარუმატებელი ფაქტორების გარდაქმნას გაუმჯობესების გეგმად. საჭიროების შემთხვევაში მოხდება მაკორექტირებელი, გაუმჯობესების და შემდეგი წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება.

ყოველწლიურად, სასწავლო წლის დასრულების შემდეგ კოლეჯის ხარისხისა მართვის მენეჯერი და კოლეჯის ადმინისტრაცია განიხილავს ჩატარებული კვლევების შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

საჭიროების შემთხვევაში განახორციელდება ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში კოლეჯის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კოლეჯის საგანამანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში ცენტრი) მიერ ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის, უკუკავშირის კურსდამთავრებულების/პროფესიული სტუდენტების, სოციალური პარტნიორობის, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების/პროფესიული მასწავლებლების, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციის, საერთაშორისო პრაქტიკის ან სხვა გარემოების საფუძველზე (მუხლი 25);

დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული 2018-2019 სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშიდან და დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით ექსპერტებმა მიიღეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ დაწესებულებაში შემუშავებული ანონიმური კითხვარების მიხედვით 2019 წლის განმავლობაში გამოიკითხა პროფესიული სტუდენტები, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლები და ადმინისტრაციული პერსონალი. გამოკითხვის მიზანი იყო შედეგების ანალიზის საფუძველზე სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცნენ გამოკითხვის შედეგების ანალიზის დოკუმენტს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- 2020-2025 წლის ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგია;
- დაწესებულების მიერ შემუშავებულია ონლაინ კითხვარები;
- ადმინისტრაციის და პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის შედეგების ანალიზის დოკუმენტი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- 2018-2019 სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში http://fanaskerteli.edu.ge//wp-content/uploads/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98-2018-19.pdf
- კოლეჯის საგანამანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება-დამტკიცებული შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის დირექტორის 2020 წლის 8 ივნისის N19 ბრძანებით;
- დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრება;
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან გასაუბრება;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ ხორციელდება სასწავლო გეგმების შესაბამისად; სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 სთ-ს; სასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ დაცულია მოდულების წინაპირობები. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება რეგულირდება კოლეჯის საგანამანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით(მუხლი 40).

2. კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი კოორდინაციას უწევს კოლეჯში სასწავლო პროცესს და პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის ეფექტიანად ორგანიზებასა და მართვაზე პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით კოელეჯის საგანამანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების კოლეჯი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესისა და საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების არსებობას, აგრეთვე საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობას. შესაბამისად. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი ანხორციელებს მონიტორინგს სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე, მისი გაუმჯობესების მიზნით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის მიერ 18/08/2020 N 00000890 ბრძანებით დამტკიცებული აქვს სახელმწიფო დაფინანსების მსურველ აპლიკანტთა გასაუბრების (კონკურსის/შერჩევის) წესი, ეს მექანიზმი უზრუნველყოფს პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამაზე სახელმწიფო დაფინანსების მსურველი აპლიკანტის ჩარიცხვის პროცესის ობიექტურობისა და გამჭვირვალებას იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობა მეტია იმ აპლოკანტთა რაოდენობაზე, ვინც აირჩია ეს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა.

ვიზიტის დროს მოხდა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულთან გასაუბრება დღის წესრიგის შესაბამისად.

3. ექსპერტთა შეფასებით სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდების (მოდულის სპეციფიკიდან გამომდინარე) და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას; „ინფორმაციული წიგნიერების“ მოდულის (და სხვა მოდულების) ფარგლებში პროფესიული სტუდენტები შეასწავლიან დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, რომელიც მიმდინარეობს სწავლების თანამედროვე მეთოდებით.

4. ექსპერტთა შეფასებით „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები; კოლეჯის საგანამანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების შესაბამისად სსსმ და შშმ პირებისთვის, ასევე სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი, შიდა და გარე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისათვის განისაზღვრება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სამუშაო რეჟიმით, რომელშიც მითითებული იქნება, თუ რა შემთხვევაში დგება ინდივიდუალური გეგმა, რომელსაც ადგენს მოდულის/მოდულების განმახორციელებელი პირი, დგება სტუდენტის თანდასწრებით და დასტურდება მისი ხელმოწერით, ინდივიდუალურ გეგმას ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი. დაწესებულების წარმომადგენელმა განუმარტეს ექსპერტებს, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება დგება მაშინ, თუ:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ა) სსსმ პირი, სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს - პროფესიული განათლების მასწავლებელი მიმართავს ადმინისტრაციას და ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად ხორციელდება სასწავლო პროცესზე დასწრება-დაკვირვების მიზნით, თუ ფაქტი დადასტურდა პროფესიული განათლების მასწავლებელთან ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, რომელსაც სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის წარდგინებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი;

ბ) მობილობით გადმოსული პირი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებული აქვს მიმღები დაწესებულების სწავლის შედეგებთან - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხდება ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა თითოეული სასწავლო კურსის/მოდულის ფარგლებში;

გ) პირი რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული პროგრამის სწავლის შედეგებს და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სპეციალისტთან ერთად შეიმუშავებს სასწავლო ცხრილს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად პროფესიული სტუდენტის საჭიროებების გათვალისწინებით, რათა მოხდეს სტატუსაღდგენილი სტუდენტის ჩართვა სასწავლო პროცესში ასათვისებელი სასწავლო კურსების წინაპირობების დაცვით;

დ) პირი რომელიც დაგვიანებით, პროგრამის დაწყებიდან არაუმეტეს 24 სასწავლო დღის განმავლობაში შემოუერთდა სასწავლო პროცესს და საჭიროებს დამატებით მეცადინეობას - ამ შემთხვევაში ტარდება პროფესიულ სტუდენტთან საჭიროების შესაბამისად დამატებითი მეცადინეობები, სასწავლო კურსები თემატიკის დაძლევის და სწავლის შედეგების მიღწევის გათვალისწინებით.

კოლეჯის დირექტორი ქმნის კომისიას, რომელსაც ამტკიცებს სამართლებრივი აქტით. კომისიის შემადგენლობა შედგება: სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და საგნის/მოდულის განმახორციელებელი პირი. კომისიის მიერ ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტის შემუშავება, შემუშავებული პროექტის პროფესიული სტუდენტებისთვის გაცნობა კოლეჯის მიერ დადგენილ ვადებში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სსსმ და შშმ პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით ასეთი პირები პროგრამაზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად.

ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა 20/08/2020 სსსმ აპლიკანტთა შეფასების ალტერნატიული წესით ჩატარების შესახებ ბრძანება N 00000950, რომლის საფუძველზეც დაწესებულებაში მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ სსსმ აპლიკანტის შეფასების ფორმის საფუძველზე შეიქმნება დროებითი კომისია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის N 870 ბრძანებით დამტკიცებული დანართის შესაბამისად პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შესაბამისი აქტივობის პრაქტიკული მოსინჯვისთვის.

5. კოლეჯი თანამშრომლობს კლინიკური სწავლების განმახორციელებელ დაწესებულებებთან, რაც დასტურდება შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებებით. პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტი განახორციელებს მოდულის შესაბამისი კლინიკის შერჩევას, საჭირო ადამიანური რესურსის გამოყოფას და მატერიალური-სახარჯი მასალის განსაზღვრა/მიწოდებას.

კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები საგანმნანათლებლო პროგრამის კლინიკური სწავლების განხორციელების მიზნით შემდეგ ობიექტებთან: **შპს ქართულ-ჰოლანდიურ ჰოსპიტალი“**(მოდულებისთვის: კლინიკური და შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა, კლინიკური და შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა, კლინიკური და შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა, კლინიკური და შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა, კლინიკური და შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-მოზარდები, **არაუმეტეს 90 პროფესიული სტუდენტისა**); **სსს „კ.ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ინსტიტუტის ეროვნული ცენტრი“- 12 დეპარტამენტი** (მოდულებისთვის: კლინიკური და შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა, კლინიკური და შემაჯამებელი კლინიკური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პრაქტიკა-თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა, კლინიკური და შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა,კლინიკური და შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა, კლინიკური და შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა (განხორციელდება „ახალ სოცოცხლეში“), კლინიკური და შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა- პედიატრია და მოზარდები, **არაუმეტეს 90 პროფესიული სტუდენტისა); შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის ცენტრი“**(მოდულებისთვის:კლინიკური და შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფქსიქიატრია, **არაუმეტეს 90 პროფესიული სტუდენტისა); ააიპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“** (მოდულებისთვის: გერონტოლოგია და გერიატრიის საფუძვლები, ავადმყოფის მოვლა, შინმოვლა-თეორიული და პრაქტიკული კომპონენტი, **მაქსიმუმ 30 პროფესიული სტუდენტისა** თითოეულ ჯგუფში.) პროფესიული სტუდენტების გაანგარიშების დროს მხედველობაში მიიღება ის გარემოება, რომ 7 პროფესიულ სტუდენტზე უზრუნველყოფილი იყოს ერთი პრაქტიკის ხელმძღვანელი, რომელიც დააკმაყოფილებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ და კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ექთნებისთვის კანონმდებლობით მოთხოვნილი A დონის ინგლისური ენის და კომპიუტერული უნარების ფლობის დადასტურება მოხდება შიდა ტესტირებების საფუძველზე, რომლის ორგანიზებასაც მოახდენს კოლეჯი. სამედიცინო დაწესებულებებში პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ექთნების სამუშაო გამოცდილება (მინიმუმ 5 წელი) დადასტურებულია მათი პირადი საქმეებით, რაც დაგვიდასტურეს პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელმა პირებმა მათთან პლატფორმა Zoom-ით გამართული გასაუბრების დროს.

6. „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ეფექტურად განხორციელებისთვის დაწესებულებას სპეციფიური უსაფრთხოების დაცვა არ მოითხოვება.

დაწესებულების მიერ შემუშავებული და დირექტორის მიერ დამტკიცებულია უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის მექანიზმები. ამ მექანიზმების შესაბამისად კოლეჯი აყვანილია ცენტრალიზებული დაცვის სისტემაზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულებას აქვს შენობის მთელ პერიმეტრზე (შიდა და გარე) დამონტაჟებული ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერები. კოლეჯში მთელ ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, ევაკუაციის პროცედურები, რომლის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში მოხდება შენობის უსაფრთხო დატოვება. კოლეჯი აღჭურვილია შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, ცეცხლ-მაქრობით, რომელიც განთავსებულია შსს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ დადგენილ ადგილებზე და მისი გამოყენების ინსტრუქცია გამოკრულია აღნიშნულ ინვენტართან და კომპეტენტური პირის მიერ ახსნილია კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის. საგანგებო ვითარების დროს საჭიროების შემთხვევაში, ადმინისტრაცია უკავშირდება შესაბამის უწყებებს (სასწრაფო, სახანძრო, პატრული და ა.შ.).

კოლეჯის შენობაში არსებობს სპეციალური სამედიცინო დახმარების აღმოჩენის სივრცე, სადაც ინახება პირველადი გადაუდებელი დახმარებისათვის საჭირო ინვენტარი და ამის შესახებ ინფორმირებულნი არიან სტუდენტები და პერსონალი. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას უზრუნველყოფს კოლეჯის სამეურნეო საქმიანობისა და შრომის უსაფრთხოების მენეჯერი. ისეთი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საჭიროებისას, რომლის კომპეტენცია არ აქვს კოლეჯს, ოპერატიულად გამოძახებული იქნება სასწრაფო დახმარება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანამანთლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ და მოდულები;
- კოლეჯის საგანამანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება-დამტკიცებული შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის დირექტორის 2020 წლის 8 ივნისის N19 ბრძანებით;
- 18/08/2020 კოლეჯის დირექტორის N 00000890 ბრძანება სახელმწიფო დაფინანსების მსურველ აპლიკანტთა გასაუბრების (კონკურსის/შერჩევის) წესის შესახებ;
- 20/08/2020 კოლეჯის დირექტორისN 00000950 ბრძანება სსსმ აპლიკანტთა შეფასების ალტერნატიული წესით ჩატარების შესახებ;
- პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრება;
- პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები/პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება;
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულთან გასაუბრება;
- ფაქტობრივი გარემოება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა შეფასებით „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანამნთლებლო პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური; ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის განმახორციელებლ პერსონალს, პროგრამის ხელმძღვანელს და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსს. მათთან გასაუბრებით ექსპერტებმა შეისწავლეს შეფასებასთან დაკავშირებული არსებული პრაქტიკა, პროფესიული სტუდენტებისათვის მიღწევების შეფასების წესისა და მოდულის გაცნობა წარმოადგენს პროფესიული განათლების მასწავლებლების პასუხისმგებლობას, მოდულის სწავლების ფორმის, მისაღწევი სწავლის შედეგებისა და შესრულების სპეციფიკიდან და შეფასების მიზნიდან გამომდინარე, შეფასების ინსტრუმენტს თავად განსაზღვრავენ და უთანხმებენ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსს. სასწავლო პროცესის სამსახური უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების პროცესში ჩართოს შესაბამისი დარგის სპეციალისტები/სხვა პროფესიული განათლების მასწავლებელი; შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს; შეფასების პროცესი დასრულებულად ითვლება მხოლოდ შეფასების შედეგების დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ,შემფასებელი ვალდებულია უზრუნველყოს მტკიცებულებების შექმნა და შეფასების შემდეგ გადასცემს კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის მთავარ სპეციალისტს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში განსათავსებლად; სწავლის შედეგების დადასტურება ფორმდება შეფასების უწყისში, რომელიც დაწესებულებაში ინახება უვადოდ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კოლეჯის საგანამანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებაში განსაზღვრულია შედეგების გასაჩივრება/აპელაციის წესი (მუხლი 41);

2. ექსპერტთა შეფასებით პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს; კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით იქმნება ვერიფიკაციის ჯგუფი, რომლიც შედგება შემდეგი პირებისაგან:

- ხარისხის მართვის მენეჯერი
- განათლების ვერიფიკატორი
- დარგის ვერიფიკატორი (დარგის სპეციალისტი, რომელმაც ინსტრუმენტის შემუშავებაში მიიღო მონაწილეობა ვერ შეამოწმებს იგივე ინსტრუმენტს, შესაბამისად მოწვეული უნდა იყოს სხვა დარგის სპეციალისტი)
- სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი პირი

ვერიფიკაციის ჯგუფს ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მანეჯერი. ვერიფიკაციის ჯგუფის ამოცანებია: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის განხორციელების მოსალოდნელი შედეგებია გამოვლენილი პრობლემების აღმოფხვრის მექნიზმების უზრუნველყოფა და საჭიროების შემთხვევაში რეგულაციებში შესატანი ცვლილების განსაზღვრა. ექსპერტთა შეფასებით პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს და გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

2019 წლის განმავლობაში დაწესებულებაში პილოტირების რეჟიმში განხორციელდა ერთ-ერთი პროგრამის შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია, ექსპერტებმა შეისწავლეს აღნიშნული დოკუმენტი. მათი შეფასებით აღნიშნული პრაქტიკა საკმარისი მტკიცებულებაა, რომ დაწესებულება შემდგომში ეფექტურად შეძლებს ვერიფიკაციის პროცესის ადმინისტრირებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი წარმოადგენს შეფასების მტკიცებულებას და კოლეჯში ინახება კოლეჯის საგანამანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების შესაბამისად (მუხლი 53). მტკიცებულებები (ტესტები, პროექტები, მასწავლებლის დაკვირვების ფორმები, ასევე ელექტრონული სახით წარმოდგენილი პროდუქტი, მატერიალური სახით წარმოდგენილი პროდუქტი და სხვ.) დაწესებულებაში ინახება საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან 3 წლის ვადით. მტკიცებულებების დაარქივების/განადგურების და ა. შ. წესს განსაზღვრავს დაწესებულების დირექტორი.

4. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. პროგრამა „საექთნო განათლება“ ითვალისწინებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას, რომელიც ემსახურება სტუდენტის მიერ ცოდნის ათვისებისა და უნარების განვითარების პროცესის სწორად წარმართვასა და მიღწევების დონის განსაზღვრას; ინფორმაცია შეფასების შესახებ ხელმისაწვდომია მხოლოდ პროფესიული სტუდენტისათვის და არა ნებისმიერი მესამე პირისათვის. შესაბამისად პროგრამის განმახორციელებელი პირი/პროფესიული მასწავლებელი უზრუნველყოფს, რომ ყველა სტუდენტი ინდივიდუალურად ეცნობოდეს მხოლოდ საკუთარ შეფასებას მისი შემდგომი განვითარებისთვის. პროფესიული მასწავლებლის მიერ სტუდენტის საგამოცდო ნაშრომთან დაკავშირებული შენიშვნების განხილვა სხვა სტუდენტებს თანდასწრებით არ ხდება.

დაწესებულების მიერ შემუშავებული და დირექტორის მიერ დამტკიცებულია შეფასების სისტემა და მისი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, დოკუმენტი მოიცავს სწავლა/სწავლებისა და შეფასების პოლიტიკას, აღნიშნული პოლიტიკა მოიცავს საუკეთესო სწავლებისა და შეფასების პრინციპებს პროფესიული სტუდენტების შედეგების გაუმჯობესებისა და შემდეგომი პროგრესისთვის.პროგრამის ხელმძღვანელმა და განმახორციელებელმა პერსონალმა ექსპერტებთან გასაუბრებით დაადასტურეს, რომ შეფასების არსი არის პროფესიული სტუდენტის შემდგომი განვითარება;



დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანამანთლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ და მოდულები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება-დამტკიცებული შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის დირექტორის 2020 წლის 8 ივნისის N19 ბრძანებით;
- შეფასების სისტემა და მისი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შესაბამისი დანართებით;
- ფარმაციის საგანამანთებლო პროგრამის 4 მოდულის შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის ანალიზის დოკუმენტი;
- ფაქტობრივი გარემოება;
- დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრება;
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან გასაუბრება;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი გაზრდილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

<u>დანართი ვიზიტის დღის წესრიგი - 2 ფურცელი წარმოდგენილია ცენტრში დასკვნის პროექტთან ერთად.</u>

15.09.2020
თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: